ცვლილება დამტკიცებულია:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური
საბჭოს მიერ, ოქმი №01, 30.01.2023წ.

რექტორი, პროფესორი ____ მარინა ფირცხალავა

# შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
# სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021–2027წ.წ.)

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას და მიმართულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში უნივერსიტეტი) წინაშე დასმული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზების მოძიებისაკენ. დოკუმენტი შემუშავებულია იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტმა შეძლოს, მის მიერ აღიარებული ფუნდამენტური ღირებულებების გათვალისწინებით, დაწესებულების მისიის განხორციელება. წინამდებარე სტრატეგიული გეგმა არის უნივერსიტეტის მომავალი საქმიანობისთვის ერთგვარი ორიენტირი, ჩარჩო, რომელზეც მუშაობა გაგრძელდება მომავალშიც.

უნივერსიტეტი თავის ძალისხმევას სწავლების და კვლევითი საქმიანობის განვითარებისაკენ მიმართავს. სწორედ ეს ორი ძირითადი კომპონენტი დაედო საფუძვლად უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებას.

## უნივერსიტეტის მისია

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისიაა გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, ორიენტირებულს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში.

უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს იმგვარი საგანმანათლებლო გარემოს შექმნით, სადაც კვლევა, კრიტიკული აზროვნება, გამოცდილების გაზიარება, ტოლერანტობა, უწყვეტი პროფესიული ზრდა, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა პრიორიტეტებია, რაც განაპირობებს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

**უნივერსიტეტის მიზანია**

- მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში შექმნას სტუდენტთა სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის საუკეთესო პირობები, უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მომავალ განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა
- სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლება
- უწყვეტი განათლების სწავლების პრინციპების ხელშეწყობა
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების ეფექტურად განხორციელება
- პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებიც შეძენილი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით იქნებიან კონკურენტუნარიანები ადგილობრივ და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე
- სტუდენტებისათვის დემოკრატიული პრინციპების პატივისცემისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება

**პრიორიტეტები**

უნივერსიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ და პრიორიტეტულ სფეროებს წარმოადგენს:

- სწავლისა და მეცნიერული კვლევების ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა
- საერთაშორისო და ადგილობრივი კავშირების გაღრმავება
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა
- უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვა
- სოციალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელება
- სტუდენტთა კურიკულუმს გარეთ მხარდამჭერი ღონისძიებების გამრავალფეროვნება (შიდა გრანტები, სამეცნიერო კონფერენციები, პრაქტიკა კლინიკებში, პრაქტიკა საზღვარგარეთ, ინტელექტუალური თამაშები და ა.შ.)
- უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა

**ჩასატარებელი ღონისძიებები**

- სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნების დროული და ეფექტიანი განხორციელება
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების (სილაბუსების) სრულყოფა/მოდიფიცირება ახალი გამოწვევებიდან გამომდირე, უცხოელი კოლეგების ჩართულობის ამაღლება სწავლების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სასწავლო უნივერსიტეტის საფეხურის ასამაღლებლად
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენება და მონიტორინგის პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობით ასახვა
- სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების განახლება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარე შეფასების მექანიზმების დროლად მომზადება
- სწავლების და სწავლის პროცესებისათვის ხელის შეწყობა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა
- სამეცნიერო - კვლევითი ფორმატის გაფართოება (ურთიერთობები: კვლევა, დაგროვილი გამოცდილების გაზიარება) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით
- გაცვლითი პროგრამების ამოქმედება
- უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული საქმიანობის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის შიდა შეფასებების მექანიზმების გეგმიური გამოყენება
- სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა
- ინფრასტრუქტურის განახლება მოდერნიზაცია
- სოციალურ პროექტებში აქტიური მონაწილეობის მიღება
- SWOT ანალიზის ჩატარება, რომელიც გულისხმობს მოცემული დაწესებულების ძლიერი, სუსტი მხარეებისა და მასზე მოქმედი გარე ფაქტორების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას და მისი თანაფარდობის გათვალისწინებით უნივერსიტეტის მეშვეობით სტრატეგიული განვითარების პროგრამის ფორმირებას

SWOT ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |
| ▪ შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი<br>▪ უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მის საკუთრებაში არსებული უძრავი-მოძრავი ქონებით<br>▪ კურსდამთავრებულთა წარმატება სარეზიდენტურო გამოცდებზე<br>▪ სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა ჯგუფებში<br>▪ მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი<br>▪ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მიზნების მხარდაჭერა<br>▪ უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (study in georgia და ა.შ.)<br>▪ სტუდენტური თვითმმართველობის ინტერნაციონალური სახე და აქტიური ჩართულობა, როგორც საუნივერსიტეტო მენეჯმენტში, ისე სხვადასხვა სახის ღონისძიებებში<br>▪ სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია შეღავათები<br>▪ სოციალური პროექტები და სტუდენთა ჩართულობა<br>▪ სწავლის პროცესში პრაქტიკული კომპონენტების გამოყენება და პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად სიმულაციური მედიცინის კლინიკის, სარეაბილიტაციო კლინიკის, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის არსებობა<br>▪ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენება<br>▪ კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი<br>▪ უნივერსიტეტ გეომედის სამეცნიერო ფონდი<br>▪ უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა<br>▪ აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების პერიოდული ზრდა | ▪ საერთაშორისო ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდა<br>▪ საგრანტო პროექტებში ჩართულობის გაზრდა<br>▪ უნივერსიტეტის ცნობადობის ასამაღლებლად სხვადასხვა ქვეყნებიდან უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა<br>▪ პიარის და რეკლამის ნაკლებობა<br>▪ საუნივერსიტეტო აფილირებული კლინიკების დამატება<br>▪ საუნივერსიტეტო ჟურნალის ინდექსირების გაზრდა |

| | |
|---|---|
| ▪ გარე განმავითარებელი შეფასებათა ციკლის ფარგლებში და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ამაღლების მიზნით "The Accreditation, Certification and Quality Assurance Institute – ACQUIN"-ის მიერ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია | |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| ▪ შრომის ბაზრის (როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო) გამოწვევებისა და მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება<br>▪ შიდა და გარე კავშირების გაძლიერება, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება<br>▪ სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვა<br>▪ გაცვლითი პროგრამების დანერგვა<br>▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება<br>▪ სწავლების ხარისხის ამაღლება შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებით<br>▪ მესამე საფეხურის დამატება<br>▪ საქართველო, მისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით მიმზიდველია უცხოელი სტუდენტებისთვის<br>▪ კარიერული განვითარების მხარდაჭერის ზრდა<br>▪ ქვეყანაში სტუდენთა ცხოვრების ხარჯი კონკურენტულია სხვა ქვეყნებთან შედარებით<br>▪ უნივერსიტეტის პოპულარიზაცია<br>▪ უცხოელი კოლეგების ჩართულობის გაზრდა საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაში | ▪ ქვეყანაში არამდგრადი ეკონომიკური გარემო, უმუშევრობის მაღალი დონე<br>▪ მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, რომელიც განაპირობებს სტუდენტთა დაბალ გადახდისუნარიანობას<br>▪ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელი გარე ფაქტორები<br>▪ სწავლის საფასურის შესაძლო ზრდა ახალი ნაკადისთვის მაღალი ინფლაციის პირობებში<br>▪ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისათვის სავიზო პროცედურების გართულება |

## სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027წწ)

<table>
<tr><th colspan="11">სტრატეგიული მიზანი 1 - ინსტიტუციური განვითარება</th></tr>
<tr><th rowspan="2">ამოცანა</th><th colspan="7">წლები</th><th rowspan="2">შესრულების ინდიკატორი</th><th rowspan="2">პასუხისმგებელი სტრუქტურა</th><th rowspan="2">შესაძლო რისკები</th></tr>
<tr><th>2021</th><th>2022</th><th>2023</th><th>2024</th><th>2025</th><th>2026</th><th>2027</th></tr>
<tr><td>ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება</td><td colspan="7">• ახალი თანამშრომლობითი მემორანდუმების (სასწავლო, სამეცნიერო და ა.შ) გაფორმება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან<br>• სტუდენტთა და აკადემიური/ სამეცნიერო/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების განვითარება/განხორციელება<br>• საერთაშორისო სიმპოზიუმის/კონფერენციის მოწყობა უნივერსიტეტის ორგანიზებით<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტების საგანმანათლებლო პროგრამებზე მოზიდვის მიზნით პროექტების შემუშავება<br>• 2023 წლიდან ERASMUS PLUS-ით სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინის-ტრაციული/სამეცნიერო პერსონალის გაცვლითი პროგრამებში ჩართვა თურქეთის უნივერსიტეტთან დადებული თანამშრომლობითი მემორანდუმების საფუძველზე.<br>• 2023 წლიდან საზაფხულო სკოლები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში და პრაქტიკა უცხოეთის კლინიკებში.</td><td>გაფორმებული მემორანდუმებ ი/ ხელშეკრულებ ები<br><br>სერტიფიკატებ ი<br><br>გაფორმებული კონტრაქტები უცხოელ პედაგოგებთან<br><br>ფოტო/ვიდეო მასალა, ვებგვერდი; ფინანსური ანგარიშები<br><br>პასუხისმგებე ლი სტრუქტურის წლიური ანგარიშები</td><td>რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთა ნ ურთიერთობის სამსახური<br><br>პროგრამების ხელმძღვანელები</td><td>ფორს მაჟორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული ლონისძიებებ ის გაუქმება<br><br>გლობალური ეკონომიკურ ი კრიზისი</td></tr>
</table>

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანური რესურსების მოზიდვა და განვითარება | • პერსონალის (აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული/დამხმარე/ მოწვეული) მოზიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე) და შერჩევა კონკურსის წესით<br>• პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალისთვის სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება, პერსონალის განვითარების ღონისძიებების გაძლიერება.<br>• პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა<br>• სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდილი ზღვრული რაოდენობისთვის, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალით უზრუნველყოფა დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად | | | | | | | •საკონკურსო მასალები.<br>•პერსონალის რაოდენობა<br>•ორგანიზებული ტრენინგები, სემინარები და სხვა.<br>•გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა | ადამიანური რესურსების მართვის სამსახური<br><br>დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | პერსონალის დენადობა |
| ინფრასტრუქტურის განახლება/სრულყოფა | 1.საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის გაფართოება და ახალ მისამართზე გადატანა.<br><br>2.სიმულაციური მედიცინის კლინიკის აღჭურვილობის განახლება.<br><br>3.სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვის განახლება. | 1.კვლევითი ლაბორატორიების გაფართოება, აღჭურვის განახლება და ახალ ფართში გადატანა<br><br>2.საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მოდერნიზაცია. | 1.შიდა ეზოში (კაფეტერიას მიმდებარე) რეკრეაციული ზონის მოწყობა<br><br>2.სიმულაციური მედიცინის კლინიკის გაფართოება და აღჭურვილობის განახლება. | 1.სასწავლო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია/განახლება | 1.საგამოცდო ცენტრის გაფართოება.<br><br>2.პარკინგი - თანამშრომლები/სტუდენტები/კლინიკა | რეკრეაციული/სავარჯიშო ზონების მოწყობა | 1.სიმულაციური მედიცინის კლინიკის აღჭურვილობის განახლება. | საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკა<br><br>მექნილი მულაჟები<br><br>ლაბორატორიების განახლებული აღჭურვა<br><br>განახლებული შიდა ეზო<br><br>პარკინგი | რექტორი<br><br>რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში<br><br>ლაბორატორიების ხელმძღვანელი<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი<br><br>საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის დირექტორი<br><br>საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი | ფორს მაჟორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება |
| სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდილი ზღვრული რაოდენობისთვის, დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად, მატერიალურ/ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა | | | | | | | | | | |
| საფეხურის დამატება | | | | | | | საფეხურის ამაღლება - ავტორიზაცია | | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |

## სტრატეგიული მიზანი 2 - ხარისხის უზრუნველყოფა

| ამოცანა | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესაძლო რისკები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | | | |
| უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დანერგვა ყველა დონეზე.<br>შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა<br>ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br>ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>დამსაქმებლები<br>კურსდამთავრებულები | |
| უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის შეფასება | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის მენეჯმენტით კმაყოფილების კვლევა | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მუდმივი მონიტორინგი და შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | |
| სტუდენტთა სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის შეფასება | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| სისტემური (გეგმიური) და არაგეგმიური (სიტუაციიდან/ამოცანიდან გამომდინარე) კვლევების ჩატარება, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმების სრულყოფა, უნივერსიტეტის რესურსების, დადგენილი ინდიკატორების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით<br><br>სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდილი ზღვრული რაოდენობისთვის, დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად, მატერიალურ/ტექნიკური ბაზით და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალით უზრუნველყოფის მონიტორინგი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის შედეგები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები<br><br>ფაკულტეტების დეკანები | |
| საჯაროობა (ანგარიშები, ჩატარებული ანალიზის შედეგები, რეკომენდაციები და ა.შ.) | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, რეკომენდაციები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| გარე შეფასების უზრუნველყოფა (ავტორიზაცია, აკრედიტაცია - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).<br>საერთაშორისო საავტორიზაციო და საკრედიტაციო ინსტიტუციები.<br>პროგრამების შეფასების მიზნით მოწვეული დარგის ექსპერტები | გარე შეფასების გაზიარებული რეკომენდაციები | უზრუნველყოფის სამსახური<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | ფორს მაჟორი |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ფაკულტეტების დეკანები | პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება |

## სტრატეგიული მიზანი 3 - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება

| ამოცანა | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესაძლო რისკები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | | | |
| არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, საერთაშორისო პრაქტიკის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით | | | | | | | | საგანმანათ ლებლო პროგრამები | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>პროგრამის ხელმძღვანელები<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| საქართველოსთვის აქტუალური სამედიცინო პრობლემების თემებზე საჯარო ლექციების დაგეგმვა/განხორციელება წამყვანი კლინიცისტი პროფესორების მიერ | | | | | | | | საჯარო ლექციები<br><br>ვებ-გვერდი | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი | |
| მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური სამედიცინო პრობლემების თემებზე საჯარო ლექციების დაგეგმვა/განხორციელება წამყვანი საერთაშორისო კლინიცისტი პროფესორების მიერ | | | | | | | | საჯარო ლექციები<br><br>ვებ-გვერდი | საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური | |
| საერთაშორისო აკადემიური კადრების მოძიება და მოწვევა სასწავლო პროცესში ჩასართავად | | | | | | | | მოწვეული აკადემიური კადრები | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | |
| საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი კომპლექსური გეგმიური მონიტორინგი, პროგრამების სრულყოფის მიზნით | | | | | | | | მონიტორინგის ანგარიშები | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები<br><br>ფაკულტეტების დეკანები | |
| ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (აკრედიტაცია) | | | ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის აკრედიტაცია, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის „საექთნო საქმე" შემუშავება და აკრედიტაცია | ინგლისურენოვანი ფიზიკური ჯანმრთელობის და რეაბილიტაციის პროგრამა (ბაკალავრი/მაგისტრი) აკრედიტაცია | ჯანდაცვის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია | | მედიცინის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია | აკრედიტებული პროგრამები | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | |

## სტრატეგიული მიზანი 4 - კვლევების განვითარება

| ამოცანა | წლები | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესაძლო რისკები |
|---|---|---|---|---|

| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების ფარგლებში ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიების აღჭურვა საჭირო რეაქტივებით, ინვენტარით და ხელსაწყო-დანადგარებით | | | | | | | | შეძენილი აღჭურვილობა | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>ლაბორატორიის ხელმძღვანელი | ფორს მაჟორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება |
| შპს. სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სამეცნიერო ფონდის მიერ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება ახალგაზრდა მეცნიერებისთვის | | | | | | | | დაფინანსებული პროექტი | ფონდის ხელმძღვანელი<br><br>ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.<br><br>მთავარი ბუღალტერი<br><br>სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი | |
| ეროვნულ/საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა | | | | | | | | საგრანტო კონკურსის შედეგები | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | |
| უნივერისიტეტის ჟურნალის „მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები"-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება | | | | | | | | გატარებული ღონისძიებები | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>მთავარი რედაქტორი<br><br>ბიბლიოთეკის დირექტორი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მთავარი ბუღალტერი | |
| უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხარისხის გასაზრდელად და პუბლიკაციების საერთაშორისო, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური შეფასება/წახალისება | შეფასების ანგარიში | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | |
| საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან არსებული კავშირების გაღრმავება | გაფორმებული მემორანდუმები, ხელშეკრულებები | რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური | დონორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება |
| აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება | დაფინანსებული კონფერენციები | რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>მთავარი ბუღალტერი | |
| აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის დაფინანსება | დაფინანსებული სახელმძღვანელო/მონოგრაფია | რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მთავარი ბუღალტერი | |
| საერთაშორისო და ადგილობრივი სიმპოზიუმების/კონფერენციების ორგანიზება | ჩატარებული სიმპოზიუმები/კონფერენციები | რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში<br><br>მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური | ფორს მაჟორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმება |

## სტრატეგიული მიზანი 5 - სტუდენტური სერვისები და სტუდენტური ცხოვრება

| ამოცანა | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი სტრუქტურა | შესაძლო რისკები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | | | |
| სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს სრულყოფა | | | | | | | | სტუდენტზე ორიენტირებული გარემო | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br><br>ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | |
| სტუდენტებისთვის ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობის სრულყოფა (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ა.შ.) | | | | | | | | ვებ-გვერდი<br><br>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>ფაკულტეტების დეკანები | |
| სტუდენტების უფლებების დაცვა | | | | | | | | ხელშეკრულება<br><br>ეთიკის კოდექსი | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ფაკულტეტების დეკანები<br><br>იურისტი<br><br>სტუდენტური თვითმმართველობა | |
| სტუდენტების კონსულტირების სრულყოფა (კარიერული მხარდაჭერა, დასაქმება, კვლევებში ჩართულობა და ა.შ.) | არსებული სტატისტიკა | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური | |
| სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება (მაგ.სტიპენდიის გაზრდა) | | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>ფაკულტეტების დეკანები<br><br>სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური | |
| სტუდენტების ამავე უნივერსიტეტში შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მოტივაციის ამაღლება | არსებული სტატისტიკა | რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში<br><br>რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში<br><br>სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური | |
| კურიკულუმს გარეთ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა (სპორტული, შემოქმედებითი, კულტურული და ა.შ.) | დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები | სტუდენტებთან ურთიერთობების სამსახური<br><br>სტუდენტური თვითმმართველობა | ფორს მაჟორი<br><br>პანდემიიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებებ ის გაუქმება |